ბათუმის
ნავიგაციის
უნივერსიტეტი



საზღვაო ნავიგაციის

საბაკალავრო პროგრამა

ინგლისურენოვანი

2026


BNU



ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის შესახებ

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი (ბნუ) პირველი კერძო საზღვაო სასწავლებელია საქართველოში, რომელიც 1999 წელს შორეული ნაოსნობის კაპიტანმა პარმენ ხვედელიძემ დააარსა და დღემდე ემსახურება ქართული საზღვაო განათლების ხარისხის ამაღლებასა და საერთაშორისო საზღვაო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნისათვის საკუთარი და უნიკალური ადგილის დამკვიდრების საქმეს.

ბნუ წარმოადგენს კონკურენტუნარიან, მაღალტექნოლოგიურ, საერთაშორისო აღიარების მქონე, ცნობად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი, საერთაშორისო და ეროვნულ დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული განათლების მიღებასა და დარგში ახალი ცოდნის შექმნას.

ამჟამად, ბნუ-ს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს წარმოადგენს საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტი, ბიზნესისა და ლოგისტიკის ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი და ასევე საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი, რომელიც სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების და უკვე მოქმედი მეზღვაურების მომზადებაგადამზადებას ემსახურება.

ჩვენი უპირატესობაა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალკვალიფიციური აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი.

ჩვენი პრიორიტეტია სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, სადაც თითოეული სტუდენტი ახდენს თავისი პოტენციალის რეალიზებას.

რექტორის მიმართვა



პარმენ ხვედელიძე

რექტორი და დამფუძნებელი

პროფესიის არჩევა რთული საქმეა. ძნელია, წინასწარ განსაზღვრო რა არის შენი ცხოვრების მიზანი, სად და როგორ შეძლებ თვითრეალიზაციას, მისწრაფებების და ვალდებულებების თანხვედრას, არის თუ არა შენი ადგილი ამა თუ იმ პროფესიაში. კითხვა ბევრია და წინასწარ მათზე პასუხი არ არსებობს, თუმცა, გადაწყვეტილების მიღებისას ერთში ზუსტად უნდა იყო დარწმუნებული - უნდა გიყვარდეს ის საქმე, რომელსაც ირჩევ.

მე შემიძლია გულწრფელად გითხრათ, რატომ ავირჩიე მეზღვაურობა და რატომ არის ის ჩემი ცხოვრების უცვლელი პროფესიული სიყვარულის საგანი - მე თავისუფლება მინდოდა. ვერ ვეგუებოდი აკრძალვასა და საზღვრებს, სიმტკიცისა და სიმამაცის გამოსავლენად მჭირდებოდა სარბიელი. საკუთარი თავის გამოსაცდელად მინდოდა

მეტი, ვიდრე ის გარემო იძლეოდა, რომელშიც ჩემი თაობა დაიბადა. მე მინდოდა მენახა სამყარო ისეთი, როგორიც არის, მემოგზაურა, გავცნობოდი ქვეყნებს და კულტურებს, გადამესერა ზღვები და ოკეანეები. მეზღვაურობა ჩემთვის იყო თავისუფლების ბილეთი.

ახლა აღარ არის რკინის ფარდა და დაკეტილი საზღვრები, მაგრამ დამერწმუნეთ, მეზღვაურის პროფესია არის შინაგანი თავისუფლების, წინააღმდეგობების გადალახვის, საკუთარ თავზე გამარჯვების გზა და ვინც ამ პროფესიას ირჩევს, არის კიდევაც

ადამიანი-საკუთარი ბედის მჭედელი. მეზღვაური მსოფლიო მოქალაქეა. მას დიდი პასუხისმგებლობა აქვს საკუთარი ქვეყნის და, არ გადავაჭარბებ, რომ ვთქვა, მსოფლიოს წინაშე, რადგან რომელი ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი ხომალდის ბორტზეც ახვალ, ავტომატურად იმ ქვეყნის წარმომადგენელი ხარ, რომელ პორტშიც შეხვალ, იმ ქვეყნის სტუმარი ხდები და ვალდებული ხარ, დაიცვა დროშის ღირსება, გიყვარდეს ადამიანი. მეზღვაურობა მუდმივი გამოცდაა სიმტკიცესა და ღირსებაში, ურთიერთობებსა და დიპლომატიაში. ეს საქმე უნდა გიყვარდეთ!

და, რატომ უნდა აირჩიოთ ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი, თუ მეზღვაურობა გადაწყვიტეთ? იმიტომ, რომ ის ჩემი პროფესიისადმი სიყვარულის და ერთგულების გამო დავაარსე. ეს საქმე იმიტომ წამოვიწყე, რომ ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას ბევრი მაღალკვალიფიციური საზღვაო საქმის პროფესიონალი სჭირდება. თქვენ სჭირდებით საკუთარი ოჯახების კეთილდღეობას. თქვენ მონაწილეობთ ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერებაში და ეს საზოგადო საქმეა.

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი საერთაშორისო სტანდარტების და სერტიფიცირებული პროგრამების მქონე სასწავლო ბაზაა, რომელსაც აქვს უნივერსალური პირობები თქვენი მაღალი პროფესიული ჩვევების და უნარების ჩამოსაყალიბებლად. თქვენი

პედაგოგები უმაღლესი კლასის სპეციალისტები, შორეული ნაოსნობის მოქმედი კაპიტნები და მექანიკოსები არიან. ჩვენი გუნდი შედგება ადამიანებისგან, რომელთაც უყვართ საკუთარი პროფესია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საზღვაო სფეროს, სატრანსპორტო ლოგისტიკის და ტვირთების მართვის განვითარება საქართველოს მომავლისთვისაა აუცილებელი და რომ თქვენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მომავალი ხართ!

პატივისცემით,
რექტორი, პროფესორი და შორეული ნაოსნობის კაპიტანი

პარმენ ხვედელიძე




საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა

მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის პროცესების გათვალისწინებით და საზღვაო დარგში მზარდი მოთხოვნებიდან გამომდინარე აუცილებელია საზღვაო სფეროს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (International Maritime Organization; შემდგომში - IMO) მიერ დაწესებული ნორმების, ეროვნული კანონმდებლობის და საგანმანათლებლო სტანდარტის გათვალისწინებით საზღვაო დარგის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების, მათ შორის გემის ნავიგატორების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978/95 წლის საერთაშორისო კონვენციის 2010 წლის ცვლილებების გათვალისწინებით (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010, შემდგომში - STCW კონვენცია) შესაბამისი რეგლამენტებით დადგენილი მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა ერთობლიობის შესრულებას.

წინამდებარე პროგრამის საფუძველია IMO-ს „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978/95 წლის საერთაშორისო კონვენცია 2010 წლის ცვლილებების გათვალისწინებით (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010, შემდგომში - STCW კონვენცია), „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონი, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი „საზღვაო ნავიგაცია“.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**საზღვაო ნავიგაცია**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	**საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი**
პროფესია	გემის ნავიგატორი / გემთწამყვანი / Ship's Navigator
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	**I საფეხური (ბაკალავრიატი)**
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	**240 ECTS**
პროგრამის სტრუქტურა	საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS. მათ შორის: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები: **204 ECTS** ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები: **5 ECTS** თავისუფალი კომპონენტი: სავალდებულო **23 ECTS**; არჩევითი **8 ECTS** აკადემიური წელი 2–სემესტრიანია. პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა (ბნუ-ში 1 კრედიტი = 26 სთ). პროგრამის ხანგრძლივობა - 8 სემესტრი. პროგრამით გათვალისწინებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება პროგრამის მოთხოვნათა შესრულებით არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვების შედეგად.
პროგრამის ხელმძღვანელი	**ტარიელ პაქსაძე** ასისტენტ - პროფესორი; ინჟინერ გემთწამყვანი
სწავლების ენა	**ინგლისური**



პროგრამის სტრუქტურა

#	I სემესტრი	II სემესტრი
1	ინგლისური ენა (C1)	საქართველოს ისტორია მსოფლიო კონტექსტში
2	მათემატიკა	პირველადი სამედიცინო დახმარება გემზე
3	ფიზიკა	გემის კონსტრუქცია და მოწყობილობები
4	ინფორმაციული ტექნოლოგიები და მონაცემთა ანალიზი	საზღვაო ნაოსნობის გეოგრაფია
5	ქიმია	ნავიგაცია (I)
6	შესავალი სპეციალობაში	ნავიგაციურ ხიდურზე არსებული მოწყობილობები /ხელსაწყოები და საკონტროლო/მონიტორინგის ინდიკატორები/პანელები
7	აკადემიური წერის საფუძვლები	თავისუფალი კომპონენტი (არჩევითი ნაწილი)
8	თავისუფალი კომპონენტი (არჩევითი ნაწილი)	

#	III სემესტრი	IV სემესტრი
1	საზღვაო (ნავიგაცია) ინგლისური ენა (I)	საზღვაო (ნავიგაცია) ინგლისური ენა (II)
2	უსაფრთხოება გემზე	გემის ენერგეტიკული დანადგარები
3	საზღვაო მეტეოროლოგია	გემის მდგრადობა
4	საზღვაო სამართალი და კონვენციები	გემის მართვა და მანევრირება (I)
5	უსაფრთხო ნავიგაციის ვახტის უზრუნველყოფა (COLREG)	ნავიგაცია (III)
6	ნავიგაცია (II)	საზღვაო ტრანსპორტის კომერციული ექსპლუატაცია (GEO/ENG)

#	V სემესტრი	VI სემესტრი
1	საზღვაო (ნავიგაცია) ინგლისური ენა (III)	საზღვაო (ნავიგაცია) ინგლისური ენა (IV)
2	საზღვაო ასტრონომია	საზღვაო რადიოკავშირი და კომუნიკაციები (GMDSS)
3	საზღვაო ტვირთების დამუშავების ტექნოლოგიები (I)	გემის მართვა და მანევრირება განსაკუთრებულ პირობებში
4	გემის რადიონავიგაციური და რადიოლოკაციური სისტემები (RADAR)	უსაფრთხო ნავიგაციის უზრუნველყოფა ელექტრონული რუკების გამოყენებით - ECDIS (II)
5	გემის მართვა და მანევრირება (II)	საზღვაო ტვირთების დამუშავების ტექნოლოგიები
6	უსაფრთხო ნავიგაციის უზრუნველყოფა ელექტრონული რუკების გამოყენებით-ECDIS (I)	ხელმძღვანელობა და გუნდში მუშაობა
7		ძირითადი სწავლების სფეროს კომპონენტი (არჩევითი ნაწილი)

#	VII სემესტრი	VIII სემესტრი
1	საზღვაო (ნავიგაცია) ინგლისური ენა (V)	საზღვაო-საცურაო პრაქტიკა
2	ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენცია და დაბინძურებასთან ბრძოლის მეთოდები	
3	ხიდურის რესურსების მართვა	
4	უსაფრთხო საგემბანე ოპერაციები	

არჩევითი ნაწილი - ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი და თავისუფალი კომპონენტი		
#	I / II სემესტრი	VIII სემესტრი
1	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა (I)	საბაკალავრო ნაშრომი
2	ზღვაოსნობის ისტორია (I/II)	კიბერუსაფრთხოება საზღვაო ინდუსტრიაში
3	დემოკრატია და მოქალაქეობა (I/II)	საზღვაო დაზღვევა
4	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (I/II)	საზღვაო შრომის კონვენცია (MLC)
5	პოლიტოლოგიის საფუძვლები (I/II)	პროფესიული ფსიქოლოგია
6	მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები (I/II)	
7	ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“ (სხვა საბაკალავრო პროგრამიდან არჩეული სასწავლო კურსები) (I/II)	



დაშვების წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება;
- ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტი) საფუძველზე გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად;
- პირი, რომელსაც წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლა, ვალდებულია დაადასტუროს ინგლისური ენის B2 დონის ფლობა (საქართველოს მოქალაქე ვალდებულია წარმოადგინოს ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატი (მაგ.,IELTS, TOEFL iBT, Cambridge English Scale, PTE), რაც ავტომატურად წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ენის ფლობის სამართლებრივ დადასტურებას, ან ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა; უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირი ვალდებულია ჩააბაროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდა ან წარმოადგინოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ერთ-ერთი ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატი).
- საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტების (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010) შესაბამისად პროგრამაზე დაშვების პირობას წარმოადგენს ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა, რაც აუცილებელია პროგრამის სპეციფიკური კომპონენტების შესწავლისა და დაგეგმილი სწავლის შედეგის მიღწევისთვის; ჯანმრთელობის მდგომარეობა აისახება შესაბამის სამედიცინო მოწმობაში, რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge).
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისთვის დადგენილი მოთხოვნების შესრულებით პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბნუ-ს და სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის (სტუდენტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, და ბნუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით).

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები

პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი და პრაქტიკაზე ორიენტირებული სპეციალისტის - გემის ნავიგატორის/გემთწამყვანის მომზადებას. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს განუვითაროს შემდეგი კომპეტენციები:

გემის უსაფრთხო ნავიგაცია, ტვირთის განლაგება-დამუშავება, გემის ოპერაციების, ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების კონტროლი; გემზე მყოფ ადამიანებზე ზრუნვა, რადიოკავშირის უზრუნველყოფა, საგანგებო მდგომარეობისა და განსაცდელის დროს შეტყობინებების მიღება-გაგზავნა; სიტუაციისა და მონაცემების შეფასება-ანალიზი, პრობლემის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გააზრება და სწორი გადაწყვეტილებების მიღება. შესაბამისად, პროგრამის მიზანია მომზადდეს საერთაშორისო/ადგილობრივ საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი და STCW კონვენციის რეგლამენტებით დადგენილი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი, პრაქტიკულ მუშაობაზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტის (გემის ნავიგატორის) მომზადება, რომელსაც ექნება:

- პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი STCW კონვენციის რეგლამენტების მოთხოვნათა შესაბამისი თეორიული ცოდნა და გემის ნავიგატორის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულების პრაქტიკული უნარები, პროფესიის და შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკის გაცნობიერების, პრობლემების შეფასება-ანალიზის და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღების, ოპერატიულად და დადგენილი სტანდარტების/წესების შესაბამისად მოქმედების უნარები, ასევე სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებაზე და გემზე მყოფ ადამიანებზე პასუხისმგებლობა;
- დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სიტუაციის/ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზის, შესაბამისი მეთოდების გამოყენების, ტექნიკური, ისე პროფესიული, სოციალური ან/და ეთიკური პრობლემების გამომწვევი მიზეზების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების და შესაძლო რისკების იდენტიფიცირების, კომპლექსური, რთული/გაუთვალისწინებული პრობლემების შეფასება-ანალიზის, გადაჭრის სწორი გზის არჩევის და დასაბუთების, გუნდში მუშაობის, სწორი კომუნიკაციის და ქცევის მოდელის შერჩევის, სამუშაოს შესრულებისთვის შესაბამისი ტექნიკური/ტექნოლოგიური რესურსების, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სპეციფიკური კომპიუტერული პროგრამების შერჩევისა და გამოყენების უნარები და მზაობა;
- პიროვნული და პროფესიული განვითარების მოტივაცია და უნარი;
- საზღვაო სფეროს და მულტიკულტურული გუნდის ეთიკური თავისებურებების გაცნობიერების და დაცვის მზაობა;
- მიღებული ცოდნისა და უნარების გამოყენებისა და დამოუკიდებლად შემდგომი განვითარებით საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზების და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული განმარტავს საზღვაო ნავიგაციასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ პრინციპებს, ტერმინოლოგიას, ტექნიკას, სანავიგაციო დამხმარე საშუალებების, სიმბოლოების და სქემების მნიშვნელობას უსაფრთხო ნავიგაციის უზრუნველყოფისთვის.

აღწერს საერთაშორისო საზღვაო კონვენციებს, რეგულაციებს და უსაფრთხოების პროცედურებს, რომლებიც არეგულირებენ საზღვაო ოპერაციებს, გემის მფლობელის, ეკიპაჟისა და მგზავრების უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, მათ შორის, გემების შეჯახების თავიდან აცილება, სანავიგაციო შუქები, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროტოკოლები, გარემოს დაცვა და სხვა.

უნარები

აანალიზებს სანავიგაციო მონაცემებს, გარემო ფაქტორებს, გემის მდგრადობის მახასიათებლებს, ტვირთის განთავსებისა და მართვის პრინციპებს, გემის ტექნიკური მდგომარეობისა და ტექნიკური მომსახურების ძირითად ასპექტებს, გემის ტექნიკურ მახასიათებლებსა და მარეგულირებელ მოთხოვნებს პოტენციური საფრთხის გამოსავლენად და რეისის დაგეგმვის შესახებ სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ქმნის რეისის გეგმას ციური ნავიგაციის, ელექტრონული სანავიგაციო სისტემების და მეტეოროლოგიის ცოდნის ინტეგრირებით.

კომპლექსურად **აფასებს** ნავიგაციის სტრატეგიების ეფექტურობას გემის მდგრადობის, უსაფრთხოებისა და საზღვაო რეგულაციების დაცვის უზრუნველსაყოფად.

ამყარებს ეფექტიან კომუნიკაციას (როგორც ზეპირად, ასევე წერილობით), საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) სტანდარტული სასაუბრო ფრაზების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით სანავიგაციო საკითხებთან დაკავშირებით ეკიპაჟის წევრებთან, ნავსადგურებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან უსაფრთხო ნავიგაციისა და ეფექტური ოპერაციების უზრუნველსაყოფად.

იყენებს სამძებრო-სამაშველო პროცედურებს როგორც ზღვაზე საგანგებო სიტუაციებში, ასევე ხანძრის ჩაქრობის, სამედიცინო გადაუდებელი შემთხვევების, დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის მიზნით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სამუშაო გარემოში, შექმნილ გაუთვალისწინებელ პირობებში, სანავიგაციო გამოწვევებისა და საგანგებო სიტუაციების, მათ შორის ტვირთის არასწორი განთავსებით ან გადაბანაწილებით გამოწვეული რისკების შეფასების შედეგად, **მოქმედებს** გემის ტექნიკური მომსახურებისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით და შესაბამისი პროცედურებისა და

რესურსების გამოყენებით, იღებს პასუხისმგებლობას მიღებულ გადაწყვეტილებაზე და განხორციელებულ ქმედებებზე.

პროფესიულ საქმიანობაში და საზღვაო ოპერაციებისას კოლეგებთან მუშაობის პროცესში **იყენებს** ლიდერობისა და გუნდური მუშაობის უნარებს და მოქმედებს ეთიკური და სოციალური ნორმების დაცვით, მულტიკულტურული გუნდის/ეკიპაჟის ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

ითვალისწინებს ინოვაციების მნიშვნელობას წარმატებული პროფესიული საქმინობისა და კარიერული წინსვლისთვის და ავლენს დამოუკიდებლად ცოდნის განახლებისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარების უნარს.

დასაქმების სფერო

- STCW კონვენციისა და „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გემის ნავიგატორის/გემთწამყვანის სერტიფიცირების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟის საფუძველზე,გემის ნავიგატორს/გემთწამყვანს შეუძლია ეტაპობრივად მოიპოვოს მორიგი წოდება და დაიკავოს გემბანის რიგითიდან დაწყებული, მათ შორის, გემის კაპიტნის სავახტო თანაშემწის და ბოლოს, გემის კაპიტნის თანამდებობის ჩათვლით. გემის ნავიგატორი შეიძლება დასაქმდეს საერთაშორისო ან შიდა ნაოსნობაში ჩართულ სხვადასხვა ტიპის გემზე საგემბანო განყოფილების დამხმარე, ექსპლუატაციისა (STCW კოდექსის ცხრილი A-II/1, A-II/3) და მართვის (STCW კოდექსის ცხრილი A-II/2) დონეებზე. ასევე,

- დასაქმების შესაძლო სფეროებს წარმოადგენს საზღვაო სფეროსთან დაკავშირებული სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებები და, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საზღვაო საგანმანათლებლო და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებები.

დასაქმებისა და სერტიფიცირების სპეციალური მოთხოვნები:

სავალდებულოა შესაბამისი უმაღლესი საზღვაო განათლება (უმაღლესი განათლების საფეხური - ბაკალავრიატი); მოითხოვება შესაბამისი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა (სავალდებულო სამედიცინო შემოწმება; იხ. პუნქტი 2.). ჯანმრთელობის მდგომარეობა დასტურდება სამედიცინო მოწმობით, რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge).

ჯანმრთელობის მდგომარეობა - სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით; გათვალისწინებულია IMO-ს ნორმატიული დოკუმენტებით (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978, Manila Amendments (Consolidated Text) Regulation I/9; section B-I/9; Table B-I/9-1; Table B-I/9-2) და ეროვნული სამართლებრივი აქტით - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 26 თებერვლის 01 ბრძანებით „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“: მეზღვაური უფლებამოსილია გემზე განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა აკმაყოფილებს ზემოთ მითითებული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მეზღვაურის სამედიცინო მოწმობა გაიცემა გაყალბებისაგან დამცავი ნიშნის მქონე ბლანკზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

„მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს გემის ნავიგატორის/გემთწამყვანის თანამდებობებს, დონეებს გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟის მიხედვით:

- სავახტო თანაშემწე 500 ტონა და 500 ტონა და მეტი (ექსპლუატაციის დონე) კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად საჭიროა: ა) 12 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი, რომელიც წარმოადგენს აღიარებული საწვრთნელი პროგრამის ნაწილს, აკმაყოფილებს STCW კოდექსის A-II/1 ნაწილის მოთხოვნებს და დაფიქსირებულია მეზღვაურის წვრთნის სააღრიცხვო წიგნაკში ან ბ) არანაკლებ 36 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი.

- სავახტო თანაშემწე 500 ტონაზე ნაკლები (ექსპლუატაციის დონე) კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად საჭიროა: ა) არანაკლებ 6 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი ან ბ) საგემბანე განყოფილებაში მუშაობის არანაკლებ 36 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი.

- კაპიტანი 500 ტონაზე ნაკლები (ექსპლუატაციის დონე) კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად საჭიროა: ა) სავახტო თანაშემწედ 12 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი.

- უფროსი თანაშემწის 500 ტონიდან 3000 ტონამდე (მართვის დონე) კომპეტენციის სერტიფიკატისთვის საჭიროა: ა) სავახტო თანაშემწედ მუშაობის 12 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი.

- კაპიტნის 500 ტონიდან 3000 ტონამდე (მართვის დონე) კომპეტენციის სერტიფიკატისთვის საჭიროა: ა) სავახტო თანაშემწედ მუშაობის 36 თვის დამტკიცებული სტაჟი ან ბ) სავახტო თანაშემწედ მუშაობის არანაკლებ 24 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი, თუ სტაჟიდან არანაკლებ 12 თვის განმავლობაში პირს ნამსახურები აქვს კაპიტნის უფროსი თანაშემწის რანგში.

- უფროსი თანაშემწის 3000 ტონა და 3000 ტონაზე მეტი (მართვის დონე) კომპეტენციის სერტიფიკატისთვის საჭიროა: ა) სავახტო თანაშემწედ მუშაობის 16 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი ან ბ) კაპიტნის 3000 ტონა და 3000 ტონაზე მეტი (მართვის დონე) კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად აუცილებელია უფროს თანაშემწედ მუშაობის არანაკლებ 16 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი.

სწავლა-სწავლების მეთოდები

ზოგადად, სწავლების ძირითადი ფორმებია ლექცია, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სიმულატორული მეცადინეობები, საწარმოო და საცურაო პრაქტიკა, სტუდენტთა კონსულტაციები და სხვ. სწავლება-სწავლის პროცესში, პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება ცოდნის გადაცემის სხვადასხვა მეთოდები (მაგ.: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის შესწავლა, გონებრივი იერიში და სხვ.), რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს (მაგ., დისკუსია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, თეორიული და პრაქტიკული/ლაბორატორიული დავალებების შესრულება, პროექტების/ნაშრომების მომზადება, სხვ.), მათი შერჩევა-გამოყენება მიმართულია როგორც სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემაზე, ისე სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირებაზე, პრაქტიკული და სხვა უნარების (მაგ., ცოდნით ოპერირების, ინფორმაციის ანალიზის, მსჯელობის, დასკვნების ჩამოყალიბება-დასაბუთების, დისკუსიის წარმართვის და სხვ.) ჩამოყალიბება-განვითარებაზე. გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფენ პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციების მიღწევას, პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა კი – პროგრამით დაგეგმილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციის ჩამოყალიბებას. გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში.



სტუდენტის შეფასების ზოგადი წესი

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტებისგან, მათი შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას (max 60 ქულა) და დასკვნით შეფასებას (max 40 ქულა), ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით.

პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს (წილადის სახით მიღებული ქულა მთელ რიცხვამდე მრგვალდება დამრგვალების წესის შესაბამისად: 4 და ნაკლები - სიმცირისკენ, 5 და მეტი - მეტობისკენ). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნუ-ში სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა უშვებს 5 დადებით და 2 უარყოფით შეფასებას.

პროგრამის კომპონენტები	max 100 ქულა		შეფასების ფორმები
სასწავლო კურსები საბაკალავრო ნაშრომი	100	60 40	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება
საზღვაო-საცურაო პრაქტიკა	100	80 20	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება

შეფასებები		max 100 ქულა	
დადებითი შეფასებები			
1	ფრიადი	A	91 ქულა და მეტი
2	ძალიან კარგი	B	81-90 ქულა
3	კარგი	C	71-80 ქულა
4	დამაკმაყოფილებელი	D	61-70 ქულა
5	საკმარისი	E	51-60 ქულა
უარყოფითი შეფასებები			
6	ვერ ჩააბარა	FX	41-50 ქულა
7	ჩაიჭრა	F	40 და ნაკლები ქულა

Fx შეფასება ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; Fx შეფასების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში ფორმდება შეფასება F (0 ქულა). შეფასება F ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას პროგრამის კომპონენტი ახლიდან აქვს შესასწავლი. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა

საზღვაო ნავიგაციის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების განხორციელების პროცესში.

შპს „ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთ ორგანოს (სუბიექტს), რომელიც იქმნება ბნუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების, სწავლებისა და კვლევის შეფასების წესის შემუშავების, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, სტუდენტთა განათლების და სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემატური შეფასების და სრულყოფის მიზნით და უზრუნველყოფს ბნუ-ში განათლების ხარისხის დანერგვას, მოქმედებას და სრულყოფის ორგანიზებას, საქართველოში მოქმედ და საერთაშორისო სტანდარტებთან ბნუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის და განათლების ხარისხის შესაბამისობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, განათლების სფეროში საქართველოში მოქმედი და საერთაშორისო სტანდარტების, ხარისხის

პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები/პირობები

„საზღვაო ნავიგაციის“ დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი რესურსებით პროგრამის უზრუნველყოფა:

ბნუ-ს საკუთრებაში არსებული ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, მათ შორის:

- აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, ლინგოფონის, ნავიგაციის და სხვ. კაბინეტები;
- ბიბლიოთეკის წიგნადი (ბეჭდური და ელ. მატარებლებზე) ფონდი, ბიბლიოთეკის ვიდეო და აუდიო ფონდები, თვალსაჩინოებები, საერთაშორისო Witherbys Library ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა);

ლაბორატორიები:

- ელექტრორადიონავიგაციური ხელსაწყოების ლაბორატორია
- გემის მართვის ლაბორატორია
- ფიზიკის ლაბორატორია
- ქიმიის ლაბორატორია

1. სიმულატორები:

- Navi–Trainer Pro 6 ver. 6.02 Full Mission Simulator (სანავიგაციო ხიდურის სიმულატორი);
- Navi–Trainer Pro 6 ver. 6.02 ECDIS/Radar/ARPA (ელექტრონულ-კარტოგრაფიული მოწყობილობების და ინფორმაციული სისტემების გამოყენების სიმულატორი);
- RADAR/ARPA Module Simulator (რადიოლოკაციური სადგურები, რადიოლოკაციური გავლება და ავტომატური რადიოლოკაციური სისტემების სიმულატორი);
- Global Maritime Distress and Safety Systems (GMDSS) Simulator TGS 5000 v8.5 (უბედურ შემთხვევებში კავშირგაბმულობის გლობალური საზღვაო სისტემის სიმულატორი);
- Liquid Cargo Handling Simulator (LCHS 5000) (სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვის სიმულატორი);
- Lifeboat Simulator (სამაშველო ნავის სიმულატორი);
- Fire-Fighting Training Facility (ხმელეთზე განლაგებული ხანძართან ბრძოლის ტრენაჟორი).

2 სპეციალიზირებული კაბინეტები:

■ Elementary First Aid (ელემენტარული პირველადი დახმარების კურსის კაბინეტი);
■ Fire prevention and Fire Fighting (ხანძრის თავიდან აცილება და ხანძართან ბრძოლის კურსის კაბინეტი);
■ Personal Safety and social responsibilities (პირადი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის კურსის კაბინეტი);
■ Personal Survival Techniques (პირადი გადარჩენის ტექნიკის კაბინეტი);
■ Basic Training for Oil and Chemical Tanker Cargo Operations (ნავთობმზიდი და ქიმმზიდი ტანკერის სატვირთო ოპერაც. გაცნობითი წვრთნების კურსის კაბინეტი);
■ Advanced Training For Oil and Chemical Tanker Cargo Operations (ნავთობმზიდი და ქიმმზიდი ტანკერის სატვირთო ოპერაც. სპეც. წვრთნის კაბინეტი);
■ ISPS Code (გემებისა და ნავსადგურების საშუალებების უსაფრთხოების კურსის კაბინეტი);
■ Dangerous goods (საშიში და მავნე ტვირთების გადაზიდვის კურსის კაბინეტი);
■ ECDIS (ელექტრონულ-კარტოგრაფიული მოწყობილობებისა და ინფორ-მაციული სისტემების გამოყენების კურსის კაბინეტი);
■ Ship Handling Simulator & Bridge Resource Management (გემის მართვის და სანავიგაციო ხიდურის რესურსების მართვის კურსის კაბინეტი);
■ Global Maritime Distress and Safety Systems (GMDSS) (უბედურ შემთხვევებში კავშირგაბმულობის გლობალური საზღვაო სისტემის კურსის კაბინეტი);
■ RADAR Navigation, Radar Plotting, use of ARPA (რადიოლოკაციური სადგურები, რადიოლოკაციური გავლება და ავტომატური რადიოლოკაციური სისტემების გამოყენების კურსის კაბინეტი);
■ Liquid Cargo Handling Simulator (LCHS 5000) (სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვის კურსის კაბინეტი).

3. სასწავლო-საწვრთნელი აუზი;
4. პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრაქტიკულ კომპონენტს სტუდენტები გადიან სანაოსნო და საკრუინგო კომპანიების მეშვეობით – საოკეანო გემებზე.

სწავლის საფასურის გადახდის წესი

უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს სწავლის საფასურის დაფარვა განხორციელდეს ექვს ეტაპად წლის განმავლობაში, რომლის გრაფიკიც სტუდენტებს სწავლის დასაწყისშივე მიეწოდებათ.

გადახდის გრაფიკის ვადების დაცვა აუცილებელია, სხვა შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება სწავლის შემდგომ ეტაპზე.



















EL TA
BATUMI















ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი

ბათუმი, თამარ მეფის გამზირი 38

+995 514 40 88 40

info@bnu.edu.ge

www.bnu.edu.ge

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი • Batumi Navigation University